

ზოგადი სურათი

მსოფლიოში დაახლოებით ერთი მილიარდი შებენიერი შესაძლებლობის მქონე ადამიანი ცხოვრობს, რაც საერთო მოსახლეობის 15 პროცენტს შეადგენს. მათ 80%-ს აქვს დასაქმებისათვის შესაბამისი ასაკი, მაგრამ შშმ პირთა დასაქმების უფლება ხშირად იზღუდება.


ისინი, განსაკუთრებით კი ქალები, არასათანადო მოპყრობას, ფიზიკურ და ინფორმაციულ ბარიერებს აწყდებიან. სხვებთან შედარებით, შებენიერი შესაძლებლობის მქონე პირები მეტად ატარებენ სოციალურად დაუცველობის რისკს, ემუქრებათ უმუშევრობა და ეკონომიკური სიდუხჭირე.

2013 წლიდან 2016 წლის გაზაფხულამდე პროფესიულ სასწავლებლებში 510 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების პირი სხვადასხვა პროფესიას დაეუფლა. მათგან მხოლოდ 41 პირი (8%) დასაქმდა. კურსდამთავრებულების დამსაქმებლები ძირითადად რესტორნები, სასტუმროები და სამკერვალოები არიან.

დასაქმების ქსელ Worknet-ში დარეგისტრირებულია 1502 სოციალური პაკეტის მქონე შშმ პირი. თუმცა 2015 წლის სექტემბერში მათგან მხოლოდ 25-მდე შშმ პირი დასაქმდა. რაც საკმაოდ მოკრძალებული რიცხვია.

ევროპულ ქვეყნებში შშმ პირთა 48 პროცენტი დასაქმებულია.

ეს სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ საქართველოში შშმ პირების დასაქმებისგან, დამსაქმებლები სხვადასხვა მიზეზის გამო თავს იკავებენ.



პრობლემა

შპმ პირები სამუშაოს ძიებისას აწყდებიან უამრავ პრობლემას: სამუშაო გარემოს ადაპტაცია, დამსაქმებლების მიმღებლობა, შპმ პირთა მიმართ სხვადასხვა სტერეოტიპის არსებობა

სამწუხაროა, მაგრამ ჯერ კიდევ მყარია სტერეოტიპული დამოკიდებულება შშმ პირების მიმართ, რაც მათ უქმნის ბარიერებს სამუშაოს ძიების პროცესში. კერძო და საჯარო სექტორი შშმ პირების პოტენციალს უგულებელყოფს და მათ დაქირავებას პრობლემატურ საკითხავ განიხილავს.

დავალება :

დამსაქმებელთა ცნობიერების ასამაღლებლად საჭიროა საკომუნიკაციო კამპანია, რომელიც ეტყვის პოტენციურ დამსაქმებლებს, რომ „შეზღუდული შესაძლებლობები არ არსებობს“, დაანგრევს სტერეოტიპებს და მოუწოდებს მათ შშმ პირების დაქირავებისკენ.

მთავარი მესიჯი:

(დამოკიდებულია შემსრულებელზე)

სამიზნე აუდიტორია

საქართველოში მცხოვრები პოტენციური დამსაქმებლები - ასაკი 25-55 წელი

Tone of Voice:

მამოტივირებელი, ბიძგის მიმცემი,

კამპანიის პერიოდი:

1 ივნისი - 31 აგვისტო

სასურველი შედეგი:

გაუმჯობესოთ დასაქმებული შშმ პირების რაოდენობა

განთავსება

მონაწილეთა ნამუშევრები განთავსდება ACAG-ის საკომუნიკაციო არხებსა და სხვადასხვა მედიებში, ძირითადად სოციალურ ქსელებში.

ბიუჯეტი:

30 000\$

ნამუშევრების მიღება :

- მაქსიმუმ 12 სლაიდიანი პრეზენტაცია ქართულ ენაზე, რომელიც უნდა მოიცავდეს მთავარი იდეისა (BIG IDEA) და საკომუნიკაციო არხებში დაგეგმილი აქტივობების აღწერას, როგორი იქნებოდა დაგეგმილი აქტივობები რეალურ ცხოვრებაში.

ნამუშევრის ჩაბარების ვადა

8 მაისი - 23:59

(ნამუშევრები უნდა გამოაგზავნოთ ელექტრონულ ფოსტაზე - acagstudcontest@gmail.com)

გამოგზავნისას Subject-ში მიუთითეთ ორივე მონაწილის სახელი და გვარი